## იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 071

ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1 ტელ.: 0350 272401

### სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის სკოლა

ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, I კორპუსი, V სართული, დეკანატი–ოთახი №97
ტელ.: 0350 233671; E-mail: soc.faculty@tesau.edu.ge


| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | **ჟურნალისტიკა** |
| **აკადემიური განათლების საფეხური** | ბაკალავრიატი (I საფეხური) |
| **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი** | ძირითადი |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | ჟურნალისტიკის ბაკალავრი |
| **სწავლის ხანგრძლივობა** | 4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი |
| **ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა** | 240 კრედიტი |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | ლაურა კუტუბიძე, ჟურნალისტიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები** | პროგრამის მიზანია თანამედროვე საინფორმაციო სივრცისა და სოციუმის სპეციფიკის მცოდნე, პროფესიული უნარ–ჩვევების მქონე ლიბერალური ღირებულებების შესაბამისი პროფესიული ცოდნით აღჭურვილი ჟურნალისტური კადრის მომზადება. |
| **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები** | საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტი აცნობიერებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და სხვა დემოკრატიული ღირებულებების პრინციპებს; შეუძლია ჟურნალისტური მეთოდების გამოყენებით ინფორმაციისა და ახალი ამბების მოძიება-დახარისხება და მომზადება; აქვს საწყისი ცოდნა ექსტრემალურ და კრიზისულ სიტუაციებში ადეკვატური მოქმედებისათვის. შეუძლია ადეკვატურად აღიქვას და გააანალიზოს საზოგადოებრივი, სოციალური თუ შემოქმედებითი პროცესები. შეუძლია პროფესიული კომუნიკაცია გუნდში კრიზისული და ექსტრემალური სიტუაციების პირობებში; აცნობიერებს ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. |
| **დასაქმების სფერო** | ჟურნალისტიკის ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს სამაუწყებლო (რადიო-ტელეკომპანიები), ბეჭდურ და ონლაინ მედიაში, საინფორმაციო სააგენტოებში, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს კომპანიების პრესსამსახურებში; საჯარო სამსახურის |

| | |
|---|---|
| | სტრუქტურებში; აგრეთვე, კონსალტინგურ და სარეკლამო კომპანიებში და სხვ. |